წ. I 1915 წ.

სამშაბათი 3 მარტი

# სამშობლო

ფასი: წლიურათ 8 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ც ა ლ კ ე ნ ო მ ე რ ი ე რ თ ი შ ა უ რ ი. დამატებით 7 კაპ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მ., დანარჩენი [illegible]. გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ი ს ფ ა ს ი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე [illegible] 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე [illegible]. ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კაპ., უკან 15 კ. სამგლოვიარო განცხადებას დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 ს ა ა თ ს შ ე მ დ ე გ 4 მან.

№ 25 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 25

ეროვნული ბიბლიოთეკა

„სამშობლო დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია ძმობილო, მირჩევნის თრსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა“.

---

1 მარტს, დილის ექვს საათზე, ხანმოკლე ავათმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

## ბაბი ვლადიმერის ასული ყრუაშვილი,

რასაც გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ: დედა—სერინო იოსების ასული ყრუაშვილისა, ძმები—ალიოშა და მიშიკო და ბიძები ასლანი, ამბროსი და ვიტო ყრუაშვილები.

პანაშვიდი ყოველდღე საღამოს ექვს საათზე. გამოსვენების დღე დანიშნულია ოთხშაბათს, 4 მარტს, ნაშუადღევის სამ საათზე, საფიჩხიის სასაფლაოზე. ფერმის ქუჩა, დიანოზ კობერიძის სახლიდან.

1—1—83

---

12-ს თებერვალს ამა 1915 წ. გერმანელების წინააღმდეგ ბრძოლის ველზე გმირულად იქნა მოკლული პოდპოლკოვნიკი 152 ვლადიკავკასის პოლკისა

## ალექსანდრე სიმონის ძე ანდრონიკაშვილი,

რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ განუსაზღვრელ მწუხარებაში მყოფნი დედამისი ნინო იაკობის ასული, მეუღლე ნინა ალექსანდრეს ასული შვილით, და იზაბელლა, ძმები: რომანი, კლემენტე სიმონის ძენი ანდრონიკაშვილები.

პანაშვიდი დანიშნულია სამშაბათს, 3 მარტს, საღამოს 5 საათზე, რომის კათოლიკეთა ეკლესიაში.

1—1 108

---

## ამერიკული მწარე ვაზი (rupestris)

მშრალ მიწაზე გაზდილი, იყიდება ზომიერ ფასათ, იკითხეთ კ. ოცხელის წიგნის მაღაზიაში ქუთაისში. თ.

---

უდიდესი სპეციალური წიგნის მაღაზია

## კ. ი. ოცხელის და ამხ. ქუთაისში

ალექსანდრეს ქუჩა, ტფილ. კომერც. ბანკის ქვეშ.

კ. ი. ოცხელისა და ამხ. წიგნის მაღაზიაში მოიპოვება ყოველ გვარი სახელმძღვანელო და საკითხავი წიგნი: ბელეტრისტული, პედაგოგიური, იურიდიული, საბავშო და მრავალი სხვა. აგრეთვე კალენდრები 1915 წლის: ჯიბის, კედლის, იურიდიული, საექიმო და სხვა. ატლასები, თვალსაჩინო სურათები. გეოგრაფიული ქარტები, მათ შორის ომის ქარტები დაწყებული 6 მანეთიდან ვიდრე 3 შაურამდი

გვერდით გამართულია ცნობილი საკანცელარიო მაღაზია დ. ი. ოცხელისა, სადაც მოიპოვება ყოველნაირი სამოსწავლო საკანცელარიო ნივთები.

— კატალოგები უფასოთ — თ.

---

## ელექტრო-თეატრი რადიუმი.

კვირა, 1 მარტიდან დიდებული პროგრამმა მხოლოდ 3 დღით.

I.

### ს ა მ ხ ე დ რ ო ქ რ ო ნ ი კ ა

II.

### ნ ა ღ ვ ლ ი ა ნ ი ჰ ა ნ გ ი

ძლიერი დრამა 3 მოქმ. ინდოელ სექტანტთა ცხოვრებიდან.

ოღონდაც ცოლმა კი არ გაიგოს! სასაცილო და სამხიარულო კომ. 2 ნაწ.

ფ ა ს ე ბ ი ჩ ვ ე უ ლ ე ბ რ ი ვ ი ა.

**ანონსი:** ხუთშაბათიდან, 5 მარტიდან ნაჩვენები იქნება ორი შესანიშნავი სურათი. 1) საბედისწერო ქალი, ვერა გოლიჩი. მძიმე დრამა 3 მოქმ. თანამედროვე ცხოვრებიდან. გამოჩენილი მსახიობის, ქალის ჩერნოვას და მსახიობის მიჩურინის მონაწილეობით. 2) ქოცვია ქალი, მხიარული კომედია ორ ნაწ. 3) პატე ჟურნალი.

---

**კბილის მენადარიშრილი და ტრუფამქიმები. ნოვა.** დროებით ბათომიდან გადმოვიდნენ ქ. ქუთაისში. ტფილისის ქუჩა, სახლი ბახტაძისა, ფირალოვის თუთუნის ფაბრიკის გვერდში. ავათმყოფებს ღებულობენ დილის 9—1 და საღამოს 4—6. არჩენენ ავათმყოფობას კბილებისა და ღრძილებისას. აკეთებენ ხელოვნურ კბილებს: კაუჩუკზე, ოქროზე და ალუმინზე. ღრძილების ავათმყოფობას არჩენენ რამდენიმე სეანსზე ახალი საშუალებით. თ.

---

**ექიმი** გაბრიელ იოს. ზოკიელის ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 9—8 საათ. ალექსანდრეს ქუჩა, საკუთარი სახლი.

**ექიმი** ი. ჩარექოვი ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12—2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალბეგოვის სახლში. (თ.)

---

ქუთაისი გიმნაზიის ქ., საკუთ. სახლი. **მოსკოვის ფირმის** ქუთაისი გიმნაზიის ქ., საკუთ. სახლი.

ამხ-ბა

## „ნ. უდალოვი და ი. ვავილოვი“-ს

სამანიფაქტურო მაღაზიაში

მიღებულია და იყიდება დიდძალი ასარჩევი ახალ-მოდის საქონელი,

ა ბ რ ე შ უ მ ე უ ლ ო ბ ა,
შ ა ლ ე უ ლ ო ბ ა,
ბ ა მ ბ ე უ ლ ო ბ ა
დ ა ბ ა მ ბ ე უ ლ ო ბ ა.

განსაკუთრებით საყურადღებოა ქალების კოსტიუმებისათვის:

„ხაველი—შიფონი“ „კრეპ—აბრეტინი“ და „კოტლე—ნოველი“ მანტოსათვის:

„ფ ა ი—რ ე ნ ე“ დ ა „ფ ა ი—შ ი ქ.“

აგრეთვე იყიდება ჩვენთან პროხოროვის ტრიოხგორნი მანუფაქტურის ნაწარმოები.

ფასები შეუდარებლათ თ.

---

ყოველი მეაბრეშუმესათვის ცნობილი ფირმის

## ძმათა პასხალიდის

აბრეშუმის თესლი [illegible] მიღებულია და იყიდება ქუთაისში ნიკიფორე მ. ჯანელიძის მაღაზიაში; ბათომსა და ჭიათურაში მ. ს. მანუილიდის [illegible]რაში ხელსაყრელ ფასათ. მსურველს შეუძლია [illegible]თოს რამდენიც სჭირდება დროზე. თ. 69.

---

## „სასოფლო გაზეთი“

მომავალ მარტის პირველ რიცხვებში განაახლებს გამოსვლას. 3—2

---

ქალაქის თეატრი

დღეს, 3 მარტს 1915 წ.

კიტა აბაშიძის თავმჯდომარეობით

ალექსანდრე შანშიაშვილის ახალი დრამატიული პოემა

## „ქალი გრძნეული“-ს

შესახებ გაიმართება საუბარი, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ (ანბანის რიგით): კ. ანდრონიკაშვილი, ა. გაბუნია, გ. გიორგაძე, შ. დადიანი, ია ეკალაძე, პ. იაშვილი, ტ. მარგველაშვილი, გ. ლაღიძე, ს. რობაქიძე, შ. სანებლიძე, დ. უზნაძე, ი. ფანცხავა, ა. ფოლავა, ალ. ჯანელიძე, ტ. ჯაფარიძე.

საუბრის დაწყებამდი პოემას წაიკითხავს აკაკი ფოლავა.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

P. S. ყველა დამსწრეს მიეცემა ორი ფურცელი ქაღალდი, მათ შორის ერთი მოწონების და მეორე დაწუნების გამომხატველი. ამ ბარათებს დასვენების დროს საგანგებო ყუთებში ჩაუშვებენ და საღამოს დასასრულ გამოცხადდება რამდენმა მოიწონა და რამდენმა დაიწუნა პოემა.

ქალნი და ვაჟნი ცალ-ცალკე აძლევენ ხმას.

---

დაიბეჭდა და თ. მთავრიშვილის წიგნის მაღაზიას მოუვიდა გასაყიდათ ნ. ს. ჯორჯიკიას შემდეგი რუსული წიგნი:

„Критика психологической теоріи права“

Проф. Л. І. Петрожецкаго. ფასი 6 შაური თ.

---

გ ა მ ო ვ ი დ ა დ ა ი ყ ი დ ე ბ ა

ქუთაისის ყველა წიგნის მაღაზიაში

## თხზულებანი ჯაჯუ ჯორჯიკიასი.

ფ ა ს ი 60 კ ა პ. წ.

---

# ო მ ი.

პეტროგრადის დეპ. სააგენტოსაგან.

### რუსეთ-გერმანიის ასპარეზი.

**პეტროგრადი.** უმაღლესი მთავარ-სარდლის შტაბისაგან. 27 თებერვალს არც ერთ ფრონტზე თვალსაჩინო სამხედრო შეტაკებას ადგილი არ ქონია. მდ. ნემანის მარცხენა ნაპირზე და გროდნოს გზებზე კერძო შეტაკებები ხდებოდა. სიმნოს ჩრდილოეთით ჩვენი ცხენოსანი ჯარის მიერ ტყვეებს გარდა გატაცებულ იქნა ორი ზარბაზანი. კოპციევოს რაიონში არტილერიის ცეცხლით დიდი ზარალი მივაყენეთ მტრის რაზმს. განდევნა რა ჩვენმა ჯარმა მტერი ავგუსტოვოს მახლობლათ მდებარე ტყეებში, მოგროვდა და შეუდგა მოქმედებას ლიპოვას რაიონში. ბობრა-ნარევის მარჯვენა ნაპირზე მდგომარეობა უცვლელია. გერმანელების ცდამ—27 თებერვალს მდ. ორჟიცეს რაიონში იერიშის მოტანის შესახებ—უნაყოფოდ ჩაიარა. პრასნიშის ჩრდილოეთით გერმანელები 1.500 ნაბიჯით დაუახლოვდენ ჩვენს თხრილებს, მაგრამ მათ ვერ შესძლეს აქ გამაგრება. ამ ბრძოლაში ხელთ ვიგდეთ დიდძალი იარაღი. კარპატებსა და აღმოსავლეთ გალიციაში ქარბუქ-ა. კოზიუვკას რაიონში მტერმა ხელახლავ მოიტანა ჩვენზე უნაყოფო იერიში.

**პეტროგრადი.** 1 მარტი. „არმიის. ვესტნ.“ სამხედრო მიმოხილვა. პირველ მარტს ვისლის გაღმა რაიონში სამხედრო მოქმედება არ სწარმოებდა. გალიციაში 25 და 28 თებერვალს ბრძოლა არ შეწყვეტილა — ცენკოვიცე-გორლიცე და სენკოვოს ფრონტებზე. ავსტრიელების ხშირ იერიშებს ჩვენ მყისვე ვიგერიებდით, და სენკოვოს რაიონში კი ჩვენი ჯარის ნაწილებმა სწრაფი იერიშით ავსტრიელებს დიდი ზარალი მიაყენეს: ტყვეთ წამოვიყვანეთ 6 აფიცერი და 300 ჯარისკაცზე მეტი.

უფრო ძლიერი და თავგანწირული იერიშები ამ დღეებში ავსტრიელებმა მოიტანეს მეზოლაბორჩსა და სტრიის მხარეზე. ვოლომიტოვის ჩრდილოეთით მტერმა ჩვენს ჯარს უკან დაახევინა, მაგრამ ჩვენი შეტევით მტერი ლუპკოვიდან უკუვაგდეთ. აქ ჩვენ დავიკავეთ სმოლნიკი და 26 თებერვალს წამოვიღეთ რამდენიმე ზარბაზანი, ორი 15 სანტიმეტრ. გაუბიცი და 7 ტყვიის მტყორცნელი. ტყვეთ წამოვიყვანეთ 40 აფიცერი, სამი ექიმი და 2196 ჯარის კაცი. 27 თებერვალს, მიუხედავათ საშინელის ქარბუქისა, იერიშები კვლავ გრძელდებოდა და ამ დღეს ჩვენ ვიხელთეთ 5 ტყვიის მტყორცნელი და დავატყვევეთ 14 აფიცერი და 600 ჯარისკაცზე მეტი. ჩვენი იერიშები ტარნოვთან

# დღეს რა მოხდა.

**28 თებერვალს გარდაიცვალა გრაფი ვიტე.**

**რუსეთ-გერმანიის ასპარეზი.**

ნემანისა და გროდნოს რაიონებში კერძო შეტაკებები სწარმოებს.

სიმნოს ჩრდილოეთით ჩვენმა ცხენოსანმა ჯარმა გერმანელები დაამარცხეს.

სავაჭრო მაღაზიები ავსტრიის ჯარისკაცებმა გაძარცვეს. ქალაქში მოწყენილობაა.

ნემანსა და ვისლას შუა ბრძოლა განახლდა.

რუსის ჯარმა ბრძოლით რამდენიმე სოფელი დაიკავა.

გერმანელები გამარჯვების მოსპოებლათ კვლავ ავრცელებენ პროკლამაციებს რუსის ჯარში.

ნარევისა და ბობრის მიდამოებში საარტილერიო ბრძოლა სწარმოებს.

კოზიუვკასთან გერმანელები განაგრძობენ იერიშის მოტანას.

აღმოსავლეთ გალიციაში რუსის ჯარმა ავსტრიელების ბათალიონი დაატყვევა.

**დასავლეთის ასპარეზი.**

ლომბარდძიდეს აღმოსავლეთით ფრანგებმა თავის ხაზიდან 100 მეტრის მოშორებით გერმანელების სიმაგრე დაიკავეს.

მაასის მარჯვენა ნაპირზე გერმანელების გამაგრებული ადგილი ფრანგებმა აიღეს.

ოზერის მხარეზე სასტიკი ბრძოლა სწარმოებს.

გერმანელები ახალ ძალებს იშველიებენ.

გერმანიის კრეისერმა „კრონ-პრინც ვილჰელმმა" ინგლისის გემი „გვადემონი" დასძირა.

გერმანელები სუასონის ტაძარს ყუმბარებს უშენენ.

ვენეციაში ლუდის ბოჭკებში გერმანიიდან გაგზავნილი თოფები და პატრონები აღმოაჩინეს.

გერმანიის წყალქვეშა ნავებმა ინგლისის შვიდ გემზე იერიში მიიტანეს. ორი გემი ჩასძირეს. ორის დაღუპვის შესახებ ჯერ არაფერი იციან.

შვეციის გემი „გონნა", დატვირთული ქვა-ნახშირით, წყალქვეშა ნავმა ჩასძირა.

**დარდანელთან.**

დარდანელზე ყუმბარების დაშენა გრძელდება.

ფორტი „გამიდიე" დიდათ დაზიანდა.

ნავსადგურის შესავალში ნაღმებს იჭერენ, გოფლიკის ფორტზე ყუმბარებს უშენენ.

სმირნის მთავრობამ ნაპირებზე ზარბაზნები დასდგა.

**კავკასიის ასპარეზი.**

ჭოროხის რაიონში მთელს ფრონტზე ბრძოლა კვლავ სწარმოებს. ოსმალები ყველგან მარცხდებიან.

---

და რაბზესთანაც მტრის საზარალოთ დასრულდა. აქ ერთი პუნქტიდან ჩვენ წამოვიყვანეთ ტყვეთ ავსტრიელების მთელი როტა. 27 თებერვალს, მტერმა რაბზეს გარშემო სიმაღლეებზე კვლავ მოიტანა იერიში, რომელიც მას ძლიერ ძვირათ დაუჯდა. სტრიის მხარეზე, კოზიუვკას რაიონში, 27-სა და 28 თებერვალს ხდებოდა შეუწყვეტელი იერიშები გერმანელებისა, მაგრამ არც ერთი იერიში მტრისთვის სახეირო არ ყოფილა. ჩვენი ჯარი ამ იერიშებს იგერებდა ძლიერ მარჯვეთ. შემდეგ კი ღამით მტერზე თვით მივიტანეთ იერიში, რომლის დროსაც ტყვეთ წამოვიყვანეთ 30 გერმანელი აფიცერი და 400 ჯარისკაცი. მუნკაჩის მხარეზე, 24 თებერვალს, ნეზვისკას დაკავების დროს, ჩვენმა ცხენოსანმა ჯარმა მოსპო გერმანელების გუსართა სამი ესკადრონი. ტყვეთ წამოიყვანა 10 აფიცერი და 25 ჯარისკაცი, ხელთიგდო ორი ტყვიისმტყორცნელი. ამავე რაიონში 27 თებერვალს, მტრისგან დაწყებული იერიში, და განსაკუთრებით სასტიკი შემოტევა ნეზვისკთან მოგერებულ იქნა ჩვენის საერთო შეტევით. მტერმა აქ დიდი ზარალი ნახა. ხელში ჩავიგდეთ მრავალი ტყვე.

**პეტროგრადი.** ოფიციალური უმაღლეს მთავარ-სარდლის შტაბისაგან. 1 მარტი. ნემანსა და ვისლას შუა ომულევისა და ორჟიცას მიდამოებში და პრასნიშის მხარეზე ბრძოლა სწარმოებს. ამ ფრონტის სიგრძე 50 ვერსამდეა. მტრის წინწამოწევის ცდამ უნაყოფოთ ჩაიარა. ჩვენმა ჯარმა 28 თებერვალს მტერზე კონტრ-იერიში მიიტანა და დაიკავა რამოდენიმე სოფელი. დანარჩენ რაიონებში ნარევისა და ბობრის მარჯვენა და ვისლის მარცხენა ნაპირების რაიონებში სწარმოებს საარტილერიო ბრძოლა. კარპატებში საშინელი ქარ-ბუქია. ლუპკოვსკის გადასავალზე ჩვენ წინ წავიწიეთ და ტყვეთ წამოვიყვანეთ 600 მეტი ჯარისკაცი და 14 აფიცერი. კოზიუვკისა და როჟანკის რაიონებში გერმანელებს კვლავ მოაქვთ იერიშები, მაგრამ სასტიკათ მარცხდებიან. აქ, ერთი კონტრიერიშების დროს, ჩვენ წამოვიყვანეთ რამოდენიმე ტყვე ჯარისკაცი. აღმოსავლეთ გალიციაში ჩვენ ადვილათ მოვიგერეთ მტრის იერიშები. წამოვიყვანეთ ტყვეთ ავსტრიელების 1 ბათალიონი.

---

**დღეს**

**„ქალი გრძნეული"-ს**

**საუბარია.**

დაწვრილებითი ცნობები იხილეთ პირველ გვერდზე განცხადებაში.

---

**პეტროგრადი.** 1 მარტი. ოფიციალური. ჩვენ რამოდენიმეჯერ აღვნიშნეთ ის გარემოება, რომ მტერი გამარჯვებისათვის მიმართავს ათასნაირ ხრიკსა და ამაღელვებელ საქციელს. მის მთავარ საშუალებას შეადგენს ამ შემთხვევაში პროკლამაციების გავრცელება, რომლითაც თავხედი მტერი ჩვენ ჯარს ათასნაირ ბედნიერებას პირდება, თუ კი ის იარაღს დაჰყრის. სხვათაშორის, ამ ბოლო დროს იქამდის მივიდა მტრის უმგვანი საქციელი, რომ პროკლამაციებში ის ჩვენ ჯარს არაყსა და თუთუნს პირდება, მაგრამ ჩვენი ჯარი ამნაირ საქციელს მტრისას ზიზღით შესცქერის და თვის სახელოვან მოქმედებას განაგრძობს.

**პეტროგრადი.** 28 თებერვალი. ოფიციალური. 20 თებერვალს, ღამით სოფ ხმელთან, პორუჩიკმა ერმოლაევმა ორი როტა გაჰყო ორ ნაწილათ და მტერს ჩაუსაფრდა მდინარე სანის ნაპირზე. შუაღამისას მტრის ორი როტა გადმოვიდა ამ მდინარეზე. ერმოლაევმა ერთი მხრით და პოდპრაპორშჩიკმა სერინოვმა მეორე მხრით, თავის მაგალითით გამხნევებული ჯარისკაცებით ქკვეთნენ მტერს ხიშტებით და ამოწყვიტეს 100 კაცზე მეტი. ტყვეთ წამოიყვანეს 35 კაცი და დანარჩენი კი გაიქცნენ სანს გაღმა.

**ავსტრიელების მოქმედება.**

**ლვოვი.** 24 თებერვალი. ბრძოლის დროს სტანისლავოვი ცოტათი დაზიანდა; დაიწვა ტყავის ქარხანა და რამოდენიმე სახლი. ქუჩებში, სროლის დროს მოკლული და დაჭრილია ასზე მეტი კერძო პირი. ქალაქში შესვლისთანავე ავსტრიელებმა გაგზავნეს სხვადასხვა ნაწილებში დამსჯელი რაზმი, მაგრამ, ხალხის გაქცევის გამო მსხვერპლი არ ყოფილა. მაშინ შეიქნა დაბეზღება; დაატუსაღეს რაოდენიმე ათეული მოქალაქე, მაგრამ სამხედრო სასამართლომ ყველანი გაამართლა. ქალაქში მოწყენილობაა. მრავალი სავაჭრო დაკეტილია. ზოგიერთი სავაჭრო ავსტრიის ჯარისკაცებმა გაძარცვეს.

**დასავლეთის ასპარეზი.**

**პარიზი,** 27 თებერვალი. ღამის 11 საათზე ლომბარდძიდეს აღმოსავლეთით, ჩვენი ხაზიდან 100 მეტრის მოშორებით დავიკავეთ მტრის სიმაგრე. შამპანში ასის მაღლობის იქითა მხარეს, გენილიას ჩრდილო-აღმოსავლეთით ხუთშაბათ საღამოს ჩვენ ხელთ ვიგდეთ მტრის რაოდენიმე სანგარი და წამოვიყვანეთ ტყვეები, რომელთა შორისაც აფიცრებიც ერივნენ. დილით პარასკევს იმავე რაიონში ცოტათი წინ წავიწიეთ. შემდეგ დასავლეთით დავიკავეთ გერმანელების რაოდენიმე თხრილი. მაასის მარჯვენა ნაპირას დილით დავიკავეთ ადგილი, სადაც გუშინ გერმანელები გამაგრდენ.

**ლონდონი,** 28 თებერვალი. ფელდმარშალ ფრენჩის მოხსენება. ჩვენი ჯარის მეშვიდე დივიზიამ დღეს წინ წაიწია ოზერის მხარეზე. ბრძოლა სწარმოებს დიდის სისასტიკით. მტერმა მიიღო ახალი ძალები, რომელმაც მოიტანა დღეს იერიში ჩემ მარჯვენა ფლანგზე. ინგლისის ჯარის ორი დივიზიონით ტყვეთ იქნა წამოყვანილი 615 ჯარისკაცი. ტყვეების მოყვანა თანდათან გრძელდება. ჩვენი სამხედრო მფრინავები დიდ უნარს იჩენენ.

**პერნამბუკო.** კრეისერმა „კრონ-პრინც ვილგელმმა" ჩასძირა გემი „გვადემონი". ეკიპაჟი გადარჩა.

**პარიზი.** 1 მარტი. ოფიციალური. გუშინ ბელგიელები განაგრძობდენ წინსვლას. მათმა არტილერიამ გამაგრებულმა ფრანგების მძიმე არტილერიით დაანგრია ერთი სიმაგრე. მტერმა ყუმბარები დაუშინა იპრს: აქ მათ იმსხვერპლეს რამოდენიმე მშვიდობიანი მცხოვრები. გერმანელებმა აგრეთვე დაუშინეს ყუმბარები სუასსონის ტაძარს და მ-ს მეზობელ კვარტალს. მტერი რეიმსის ჩრდილოეთით, ლიუკსემბურგის ტყის ჩრდილოეთით, ეცადა ხელში ჩაეგდო ჩვენი მოწინავე თხრილები, მაგრამ უკუვაგდეთ. ამის შემდეგ მტერმა ყუმბარები დაუშინა რეიმსს. შამპანიაში 28 თებერვალს ჩვენ მოვიგერეთ მტრის ორი კონტრ-იერიში, უკუვაქციეთ გერმანელები და დავიკავეთ მათი რამოდენიმე თხრილი. ამ თხრილებში ჩვენ ვნახეთ 100-ზე მეტი გვამი. არგონში მტერს იერიშების დაწყება უნდოდა, მაგრამ ვერ შესძლო. ვოგეზში სწარმოებს საარტილერიო ბრძოლა.

**პარიზი.** ოფიციალური. 28 თებერვალი წასულ დღეებში ხშირი შეტაკებების შემდეგ ორივე მხარეზე დიდი სიწყნარე ჩამოვარდა, თითქმის მთელ ფრონტზე. გერმანელების იერიში მოვიგერიეთ ლეპრეტრის ტყეში.

**პარიზი.** 28 თებერვალი. ღლის სამ საათზე ბელგიელებმა დაიმკვიდრეს ხუთშაბათს წამოღებული თხრილები იზერთან. ინგლისელები განაგრძობენ წინსვლას. ინგლისელები გადავიდნენ ლეს ღელეზე და დაიკავეს გერმანელების რამოდენიმე იერიში: ინგლისელებმა ამ დღეს წამოიყვანეს ტყვეთ [illegible] მეტი და წამოიღეს მრავალი ტყვიის მტყორცნელი. იმ დროს, როდესაც ინგლისელების ჯარი იბრძოდა, მარჯვნივ და მარცხნივ მხარეზე საფრანგეთის ჯარი სარტილერიო სროლით მას მხარს უჭერდა. შამპანში ფრანგები წინ მიიწევენ. ერთი დღის განმავლობაში მათ წამოიყვანეს 150 ტყვე. დანარჩენ ფრონტებზე ცვლილება არ მომხდარა.

**კავკასიის ასპარეზი.**

**პეტროგრადი.** 1 მარტი. ოფიციალური, კავკასიის ჯარის შტაბისაგან. ჭოროხის მხარეზე ჩვენმა ჯარმა დაიკავა რაძანსულის ქარხნები და ქარხნიდან ხოფისკენ მიმართული გზები, წინ მიიწევენ და ერეკებიან ოსმალებს მათის პოზიციებიდან. ოსმალების ცდამ შეტევების დაწყებისათვის უქმათ ჩაიარა.

**პეტროგრადი.** 28 თებერვალი. ჭოროხის მხარეზე ბრძოლა ძლიერ ფართო ფრონტზე სწარმოებს, ოსმალები ყველგან უკუგდებულია. ალაშქერთის მიდამოებში ქურთებთან შეტაკების შემდეგ იგინი განსდევნენ ძლიერ შორს.

## დარდანელთან.

პეტროგ. დეპ. სააგენტოსაგან.

**ათინა.** 1 მარტი. დარდანელზე ყუმბარების დაშენა „გამიდიეს" „გაიდიეს" და „კინენალიკას" ფორტებზე გრძელდება, ნელა, მაგრამ შეუწყვეტლათ. გემები განუწყვეტლათ, იჭერენ ნაღმებს. უკვე ამოღებულია სამი მილის სიგრძეზე. დიდმა დრედნოტმა „კოროლევა ელიზავეტ"-ამ ყუმბარები დაუშინა და დიდათ დააზიანა „გამიდიე" აზიის მხრიდან, რომელიც იცავდა ქალაქ დარდანელს და რომელზედაც იდგა ახალი 24 და 35 სანტიმეტრიანი 9 ზარბაზანი. უკანასკნელი ცნობით სრუტეს იცავს სულ 80000 კაცი, ამათ რიცხვებშია მცირე აზიიდან მოყვანილი ჯარიც. იტყობინებიან, რომ მოკავშირე ფლოტმა გაანადგურა სმირნაში პატარა გემები. ნაღმებს იჭერენ ნავსადგურის შესავალში. ახლა ხდება ყუმბარების დაშენა გიფლიკის ფორტებზე. სმირნის მთავრობამ დასდგა ნაპირზე რამოდენიმე ზარბაზანი, სადაც სცხოვრობენ ქრისტიანები, რომლებიც აიძულა იქიდან ქალაქის შუაგულში გადასულიყვნენ.

---

# ცხოვრება?!

(ესკიზი).

ჩემს ოთახში ათეული ფანჯრებით იყურება ვეებერთელა აგურის კედელი მრავალ-სართულიანი სახლისა.

საკვირველია: აშენებს ადამიანი ქვის ანუ აგურის ზარდახჩას რამოდენიმე ათეული პატარა ოთახებით, ფანჯრებსა და ჭიშკარზე მიაწებებს ქაღალდებს—ქირავდება ეს პაწაწა ოთახებიო. და...

დგებიან შიგ ადამიანები, თითოში რამდენიმე, თავიანთი ჩვეულებებით, ადათებით; ყოველ პაწაწა ოთახში თავისებურათ აწყობენ ცხოვრებას.

ასეთი ხვრელები მოგაგონებენ პაწია სახელმწიფოებს მათის კანონებით, მართვა-გამგეობით და საზოგადოებრივი წესწყობილებით.

მაგალითად, ავიღოთ, აი, ის განაპირა ბინა, სადაც სცხოვრობს ახალგაზრდა მოხელე თავისი ცოლით. მე ვათვალიერებ.

ხშირად ახალგაზდა ცოლ-ქმარი რაღაცაზე თათბირობენ, დავობენ, თვითოეული თავის შეხედულებას იცავს. ეჭვი არა მაქვს, რომ ამ „სახელმწიფოში" კონსტიტუცია უნდა იყოს.

სულ სხვანაირი ცხოვრების სურათს წარმოადგენს ბინა მის გვერდით: აქ მეფობს სრული აბსოლიუტიზმი. შიგ სცხოვრობს ვიღაც ვაჭარი. ცოლი კრინტსაც ვერ სძრავს. მათთან ცხოვრობს ახალგაზდა ქალი, მათი დეიდაშვილი. მოვა დუქნიდან ვაჭარი იგი თუ არა, დააბრიალებს თვალებს—და სახლში ყველანი დაწრიალობენ, ცდილობენ ასიამოვნონ, თორემ...

მათ ზევით, სადაც ამ დღეებში გადმოსახლდენ სტუდენტები—კარგად ვერ გავარჩიე—ვფიქრობ, დემოკრატიული რესპუბლიკა უნდა იყოს.

ერთი სართულით ზევით—ნამდვილი ანარქიაა: ღამის პეპლები ბინადრობენ...

მიჭირს მხოლოდ რაიმეს თქმა სარდაფში მცხოვრებთა შესახებ. როგორია იქ კანონები? რანაირი მართვა-გამგეობაა?

იქ მეჩექმე ცხოვრობს კვირაობით, ვხედავ, მოდის მახლობელ „ტრაკტირიდან" მთვრალი და უწყალოდ სცემს ხოლმე თავის ცოლს. მეორე დღეს კი, როდესაც სიფხიზლით იტანჯება, ქალი უწყებს მას ცემას. და ასე სისტემატიურად ყოველ კვირას.

* * *

ცხოვრება ერთს წამსაც არ დაგითმობს უბრძოველად. ეს ყველამ კარგად იცის: ახალგაზდა მოხელემ, ყოველ დილით ცხრა საათზე რომ მიეშურება ხოლმე თავის სამსახურში ვაჭარმა, რომელიც ექვსი საათიდან იწყებს თავისი მუშტრების ზომასა და წონაში მოტყუებას, მეჩექმემ, სტუდენტებმა და როსკიპებმაც კი..

კუჭი თხოულობს, ცხოვრება კი უკარნახებს...

მეჩექმე რომ არ ვიანგარიშოთ, ყველაზე ადრე, დგება ვაჭარი. დგება და იზმორება, თეთრეულის ამარა მიდის ფანჯარასთან. ზანტად ამთქნარებს და კვლავ იზმორება ასევე, ზანტად იწყებს ტანთჩაცმას. ნახევარი საათის შემდეგ მე ვხედავ მის მახინჯ გვამს, მოკლე ფეხებით, ამაყად მიმავალს ქუჩის ქვაფენილზე.

ჭიშკარზე რომ გადმოაბიჯებს ხოლმე პირჯვარს იწერს და ლოცვას ამბობს, თითქოს ოკეანეს იქით მიემგზავრებაო. მისი ცოლი, ფეხ-მძიმე და ულამაზო, დგება უფრო გვიან, დიდხანს იცვამს ტანთ და უფრო დიდხანს ლოცულობს. რამდენჯერ მქონდა სურვილი გამეგო, თუ რაზე ლოცულობს ეს ქალი...

გადავავლებ თვალს გვერდით—და სხვა სურათი: მოხელე და მისი ცოლი ეს-ეს არის ამდგარან და ჩაის მიირთმევენ. კმაყოფილნი, ბედნიერნი ღუღუნებენ მტრედებივით.

სტუდენტები, — როგორც კი ადგებიან,—მაშინათვე საქმეს ჰკიდებენ ხელს: ერთი თავისი გძელი ფეხებით ოთახს ზომავს—ბოლთასა ცემს ჩაფიქრებული,— მეორე solo-ს მღერის...

როდის დგებიან ქალიშვილები—არ ვიცი, ალბათ ამ დროს მე მოწაფეებს ვამაცადინებ.

არ ვიცი, როდის დგება თავის საწოლიდან აგრეთვე მეჩექმე.

რაც უნდა ადრე ავდგე ხოლმე, მას მაინც თავისი სამუშაო დაზგასთან ვხედავ. ღამე, როდესაც ყველას ძინავს, მის ფანჯარაში კიდევ ბჟუტავს სანთელი და მე არ შემიძლია გამოვიანგარიშო—რომელ საათიდან რომელ საათამდე სძინავს მას. ან სძინავს კი?!.. თურმეტ საათზე ის სადილობს, ოთხზე—ჩაის სვამს, რვაზე—ვახშმობს—წუთსაც არ აცილებს. და ასე უცვლელად მთელი დღეები, თვეები, წლები. ყოველთვის ერთი და იგივე: სამუშაო დაზგიდან მაგიდამდე, მაგიდიდან დაზგამდე და—ცხოვრება რომ უფერული და ერთგვარი არ იყოს— „ტრაკტირიდან" საპოლიციო განყოფილებამდე.

ჩემ მეზობელ ჩარჩ ვაჭარის სახლში დღეს ხმაურობაა.

თავის დეიდაშვილს, ქალს, ათხოვებენ. თითოეული სტუმრის სახე გულაპარაბათ.

— მე ცხოვრება მინდა!

— მე უნდა ვიცოცხლო.

მე ვიწვი ცხოვრების სურვილით!

პატარძალი შეჰყავთ თავდახურულ ეტლში გაფითრებული, აღელვებული, მაგრამ ყველა მისი მოქმედება, სიარული მიხვრა-მოხვრა გეუბნევათ, რომ მას წყურია ცხოვრება, ცხოვრება და ცხოვრება!

ეტლების ბორბლებს ხმაურობა გააქვთ, თითქოს ესენიც ცხოვრებას ებრძვიანო...

სარდაფში,—მეჩექმისასაც—რაღაც ხმაურობაა, აქაც შეგროვილია მრავალი ხალხი, მაგრამ უფრო გახუნებული, უფრო ღარიბი!..

— რა ამბავია?—ჰკითხულობს ერთი.

— გარდაიცვალა გაიგე?

— მოკვდა... არყით დამთვრალი... საბრალო, ვერ შეთანხმებია ცხოვრებას, ვერ უძლევია იგი, ცხოვრებამ აჯობა. ახლა წევს შუა ოთახში. გასივებულა, გალურჯებულა. ცოლი წივის, კივის: „ჩვენო მრჩენელო, ვის დაუტოვე ჩვენი, ობლების თავი? ჩემო სიცოცხლეო"!..

თვითონ კი ორი-სამი დღის წინად ცემდა მას, როდესაც იგი მთვრალი დაბრუნდა ხოლმე შინ.

ბავშვები იქვე დგანან, არ იციან იტირონ, თუ არა, ბოლოს უფროსმა დაიწყო ტირილი, მას მიყვა პატარაც და იწყეს სამივემ გულ-შემზარავი ტირილწივილი.

რა საქმე აქვს მათთან ბრბოს? რასაც უნდა უყურებდეს ბრბო—ქორწილს თუ ტირილს—მისთვის სულერთია; შეხვდა, დააწყნარა და წავიდა ყოველი მნახველგამვლელი თავისთვის: ცხოვრება იხმობს.

* * *

სტუდენტმა კვლავ მორთო სიმღერა და გაიძახის:

„გაუდეამუს იგიტურ"...

სიყვარულო ძალსა შენსა,
ვინ არს, რომ არ ჰმონებდეს...

მისი კოლეგა თავისი გძელი ფეხებით ისევე ზომავს ოთახს, ხელში წიგნი უჭირავს. წიგნის შინაარსმა გაიტაცა და ვერაფერს ამჩნევს, ოკტავა კი ისევ გაისმის:

„ვივატ ნოსტრა რესპუბლიკა".

და... ხმა მისი შეუერთდა ცხოვრების ხმას.

* * *

არავის არ ცალია სხვისთვის, ყველას თავისი საქმე აქვს...

ყოველ ადამიანში სდუღს და სჩქეფს ცხოვრების სიმთვრალე.

არის განა ქვეყნად საკაცობრიო ეგოიზმი, ერთი დიადი, საერთო მიზანი?!.

ლოყა წითელი დეიდაშვილი ვაჭრისა ფიქრობს მხოლოდ თავისთვის.

თავისთავზე ფიქრობენ დანარჩენებიც.

მათი გულშემატკივრობა — სიცრუეა. „მრჩენელის" დაკარგვაც სიცრუეა... ცხოვრება ძლიერია ვიღაც ქმრის სიკვდილზე. სამწუხარო და საცოდავია არა თვითონ ის, არამედ იგი, რაც შეერთებულია მასთან ერთად იკარგება ჰკარგავს თვის ღირებულებას...

„გაუდეამუს იგიტურ!"

არ წყნარდება ხმა...

ცხოვრება! როგორ ჰგავს იგი თვალუწვდენ მინდორს! ვერ მოავლებ თვალს, ვერ განიცდი ჰკუით...

ერთი სიბერემდის სწავლობს, რომ სიკვდილის წინ სთქვას „არაფერი არ ვიცი"-ო. მეორე მთელ სიცოცხლეს წელგაუმართველად შრომობს, რომ მოკვდეს დამთვრალი „მშიერი სიკვდილით". ზოგიც თხოვდება და ცოლს ირთავს, რომ იცხოვრონ... მარტოხელა...

სხვებზე უკეთესად არ შეუგნიათ ცხოვრება იმათაც, ვინც ცხოვრობენ წუთებით, ართმევენ ცხოვრებას ყველაფერს, რის წართმევაც შეიძლება ჰკუით, ცბიერებით, სიცრუით, ფერებით უცთვნელად და შეუნანებლად!!.

— ეჰ, ცხოვრება?!.

სტ. გან—ჯანიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა


## ქუთაისის ქალაქის თეატრში

ხუთშაბათს, 5 მარტს, 1915 წ. გაიმართება

# გრიშაშვილის საღამო

ხუთ განყოფილებათ.

I.
დიტო უზნაძე
წაიკითხავს
ხელოვნური შემოქმედების რაობა.

II.
აკაკის პოემიდან
„თორნიკე ერისთავი"
ცოცხალ სურათებად (3 სურათი) დასდგამს:
კოწია ანდრონიკაშვილი.

III.
ჩიტო შარაშიძე
წაიკითხავს:
„ჩვენი მოზარდი თაობა"

IV.
ქართველ მსახ. ამხ. მიერ წარმოდგენილი იქნება:
ვალ. გუნიას ერთ მოქმედ. მხიარული კომედ.
ადვოკატთან ანუ
„ჩემი ცოლი ხომ არ გინახავთ"

V. დიდი სალიტერატ. განყოფილება
აკაკი ფაღავა წაიკითხ. ჯ. [illegible] თხრობას, პ. იაშვილი წაიკ. ბალმონტის დ საკუთარ ლექს. შ. დადიანი—სადღეისო პატარა ფელეტონებსებ. გ. ტაბიძე და კ. ჭიჭინაძე—საკუთ. ლექს. დ. მესხი—საოხუნჯო შარჟებს, ვ. ბალანჩივაძე—იმერულ სცენებს, დასასრ. ი. გრიშაშვილი—ჯერ დაუბეჭდავ ახალ ლექს.: „ზღაპარი გამაკში" „ხედთათმანის ლილი" და „რა კარგი ხარ, რა კარგი!"

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. ადგილების ფასი ჩვეულებრივი. ბილეთები ამთავითვე ისყიდება მხოლოდ თეატრის კასაში. ადმინისტრ. ვ. ურუშაძე.


## სხვა და სხვა ამბები.

პეტროგრადის დეპ. სააგენტოსაგან.

### ვიტეს გარდაცვალება.

**პეტროგრადი**, 28 თებერვალი. ღამით, 28 თებერვალს, გარდაიცვალა სტატს-სეკრეტარი გრაფი ვიტე.

### ჩინეთი და იაპონია.

**ტოკიო**, 28 თებერვალი. სიხარულით ეგებება რა მთავრობის ზომებს „დზიდზი" სწერს: თუ ჩინეთი განაგრძობს დაყოვნების პოლიტიკას, იაპონიის საზოგადოებრივი აზრი მოითხოვს გადამწყვეტ მოქმედებასო. ჩინეთზეა დამოკიდებული დააბოლოოს შექმნილი მდგომარეობა მშვიდობიანი გზით: ან დაეთანხმოს იაპონიის მოთხოვნილებებს, ან გამოიწვიოს საქმის სერიოზული გართულება და ეს მოხდება იმ შემთხვევაში, თუ მოლაპარაკება კვლავ გაგრძელდება.

**სალონიკი**, 28 თებერვალი. გემი „მილანო ბრინდიზი"-ზე ჩამოსული 120 რუსი ნიშით გაემგზავრა რუსეთს.

**პეტროგრადი**, 28 თებერვალი. დღით 2 საათზე გრაფ ვიტეს სულის მოსახსენებლათ გადახდილ იქნა პანაშვიდი, რომელზედაც დაესწრნენ: მინისტრთა საბჭოს თავჯდომარე, ფინანსთა მინისტრი, სახელმწიფო საბჭოს წევრები და სხვა.

**ლონდონი**, 28 თებერვალი. დილით, 28 თებერვალს, ბელფასტადან ეირში მიმავალ გემის „ვალმერიანას" მიერ გადარჩენილია 24 კაცი. ერთი მათგანი საცვლებშია, ორი სიკვდილის პირათაა. დანარჩენები მეტის-მეტი მოქანცული და დასისხლიანებული არიან. გადარჩენილი მატროსები გვატყობინებენ, რომ გემი, რომლითაც ისინი მოგზაურობდენ დაღუპულ იქნა ნაღმებით დილის 5 საათზე. აფეთქება არაჩვეულებრივი სიძლიერით მოხდა. ყველა მშველელი ნავები დამტვრეული აღმოჩნდა. შუა ღამისას იძულებული გახდენ ტალღებს შებრძოლებოდენ. ერთი გადარჩენილთაგანი გვიამბობს: როდესაც ის იცვამდა მშველელ ქამარს, მასთან მოვიდა გემის უფროსი (კაპიტანი) და მშვიდობა და უთხრა: თავს უშველე მეგობაროო!

### საადმირალოს ცნობა.

**ლონდონი**, 28 თებერვალი. კრეისერ „ბოიანოს" დაღუპვის შესახებ საადმირალო იტყობინება: 26 თებერვალს ნაპოვნი დახოცილთა გვამები მოწმობენ, რომ „ბოიანოსი" ნაღმის მსხვერპლი გახდარა. რვა აფიცერი და 18 მატროსი გადარჩენილია. დანარჩენები ალბად დაიღუპნენ.

**ბელფასტი**, 28 თებერვალი, გემი „კასლირი" გვიამბობს, რომ „ბოიანოს" დაღუპვის ადგილს 27 თებერვალს შენიშნულ იქნა გერმანიის წყალქვეშა ნავი, რომელიც მას მისდევდა 20 წუთის განმავლობაში.

**ვაშინგტონი**, 28 თებერვალი. ინგლისმა მოითხოვა კარანციდან ახსნა-განმარტება ინგლისის გემის „ვეისბრუკის" დატყვევების გამო.

**რომი**. 1 მარტი. ვენეციაში, სატამოჟნო ბიუროში მთავრობის მოხელეთა თანადასწრებით გახსნეს 92 ბოჩკა ლუდი, რომელშიაც ლუდის მაგივრათ აღმოჩნდა 546 თოფი და 273 ათასი პატრონა, რომელიც დანიშნული იყო ლავიისთვის. ეს იარაღი გერმანიიდან მოქონდათ. ცნობა მოვიდა, რომ კატანიოში (ნეაპოლში) დაიჭირეს იარაღები, რომლებიც აგრეთვე აღმოჩნდა სალუდე ბოჩკებში, და რომლებიც იგზავნებოდა გერმანიიდან ლავიაში. მოელიან დეკრეტის გამოცხადებას, რათა მოისპოს საზღვაო ვაჭრობა გერმანიასთან.

## ჟურნალ-გაზეთებიდან.

„რუს. სლ."-ს პარიზიდან დეპეშით ატყობინებენ, რომ გერმანიის მთავრობამ გაგენბრკის განთქმულ სამხეცეს სპილოების რეკვიზიცია უყოვო. სპილოებს ჯარი ზურგიდან გაიყოლებს.

— —

ჩეხების სხდომაზე შემდეგი რეზოლიუცია დაადგინეს: „მალე დადგება ის დრო, როდესაც ჩეხებისა და სლოვაკების საგენერალო სეიმი, როგორც ხალხის სურვილის ერთად-ერთი გამომხატველი, სახელმწიფოს მოწესრიგებას შესძლებს. დამოუკიდებელი ჩეხების სახელმწიფოს არსებობა, რომლის სათავეშიც უნდა სლავიანების მეფე დადგეს, შეიძლება მხოლოდ დანარჩენ სლავიანელ ხალხთან შეთანხმებით.

— —

ვენაში საქონლის სიძვირისა გამო რამოდენიმე ხორცის დუქანი დაიკეტა.

— —

ინგლისის ელჩის განცხადებასთან ერთად საფრანგეთისა და რუსეთის ელჩებმაც განუცხადეს ჩინეთის მთავრობას იაპონია-ჩინეთის კონფლიქტის ლიკვიდაციის შესახებ. კონფლიქტის გაჭიანურებული ხასიათი იაპონიაში წინააღმდეგობას იწვევს. პრესა წინანდებურათ ამერიკას ამტყუნებს.

ბეირუტში დიდი არეულობა მოხდა. ამერიკის კრეისერი „ნორდკაროლინა" მოვიდა.

— —

რაიგოროდში გერმანელებმა კასტელი დაანგრიეს. ქსენძი, რომელმაც წინააღმდეგობა განაცხადა, დახვრიტეს.

— —

ამერიკის ელჩმა ქრისტიანების დასაცავათ ზომების მიღება მოითხოვა. ბეირუტში აჯანყებაა. ოსმალეთ გუბერნატორის მაგიერათ გერმანელი დაინიშნა.

— —

სმირნის მცხოვრებლებს გამოეცხადათ, დასტოვონ ქალაქი. კონსტანტინეპოლში ახალგაზდა ოსმალთა წინააღმდეგ შეთქმულება აღმოაჩინეს. 200 სომეხი დააპატიმრეს. აღმოუჩენიათ ყუმბარებიც.

## მეგობარს

—:—

ძმავ, მეგობარო! აბა შეხედე
ამ საუცხოვო მოხატულებას,
მაგრამ იქავე ძირს, დაბლა ვამჩნევ
ცხოვრების სხვაგვარ მოხაზულობას.

შავი ქარხანა, ბნელი კედლები,
ჭუჭყი, ტალახი გულშესაზარი,
სიცივ-სიტიტვლე, ტანჯვა და კვნესა
არეულია! ბანს აძლევს ქარი!

იქ შავ აჩრდილებს მხოლოდ შეამჩნევ,
თეთრს ვერ იხილავ, იქ მეფობს ბნელი,
გაგიკვირდებათ რამ გაამეფა
მიწისა მკერდზე შავი ქვესკნელი

და შევუძახე შავ მოჩვენებათ:
„ჰეი მონანო, შვილნო ბნელეთის,
ამოდით ზევით, ქვეწარმავალნო,
იხილეთ სიტკბო შექმნილი ღმერთის".

მანდ სიცივეა და აქ კი სითბო,
აქ ნათელია და მანდ-კი ბნელა,
აქ ოქრო ბრწყინავს და მის სხივებით
ბედნიერია, ნეტარობს ყველა!

აქ, ღვთაებასთან უფრო ახლოა
ვიდრე ეგ თქვენი შავი ჯურღმული,
ამოდით ზევით! თავისუფლების
იხილეთ სხივი გაშუქებული.

ყველანი სდუმდენ... ხმას არ იღებდენ...
მიწყნარდა ქარიც, მიყუჩდა კვნესა,
მიყუჩდა, მაგრამ ნელის გუგუნით
ჩემს საპასუხოთ ვასმინე ესა:

„იცხოვრეთ ტკბილათ! მადლის სილაღე
ქვევით ვერ ჩაჰკლავს ბედნიერებას,
ზევიდან ქვევით ნუ გადმოგვძახებთ
არ ვეტრფით მაგ თქვენს მშვენიერებას!

ფუქსავატ აზრის დიდ მოციქულებს
ვერ შეგვიერთდესთ ტანჯული გული,
ოქროს ჩარდახზე უფრო მაღლა სდგას
ძმობა-ერთობის შავი ჯურღმული.

შავი ხელებით ჩვენ თვითონ გავსჭედთ,
რაც რომ ვერ შექმნა ბამბისა ხელმა,
თქვენ მოისვენეთ თფილ სავარძელში,
დაგატკბოსთ სოფლის სასუფეველმა.

იძინეთ, ვიდრე სრა-პალატებში
არ შეიჭრება სიმართლის შუქი,
იძინეთ ტკბილად, სანამ ადრეა,
სანამ იღრჩოლებს თმენის პატრუქი.

მაგრამ, ვაი თქვენ, როს შავ ღრუბლების
განიფანტება ცაზე კრებული,
და გაბრწყინდება სამარადისოდ
მზე სხივოსანი, მზე დიდებული.

როს ცის ტატნობზე გაისრიალებს
სხივი, აკოცებს ცისა კამარას,
მაშინ გვითხარით, რა მოხელე ხართ,
მაშინ გვითხარით, გააკეთებთ რას!

რაღას იქთ მაშინ, როცა სამარე
ჯოჯოხეთისას გაგიღებთ კარებს,
გვითხარით მაშინ საიქიოსთვის
ოქროს ჩარდახი რას დაგაბარებს?

როცა გულმკერდი მარმარილოსი
თავზე შავ ზეწარს გადაიფარებს
და სხივოსანი თავისუფლება
შრომისა შვილებს შვება ახარებს?"

შეწყდა გუგუნი!.. მიწყნარდა ქარიც
საყვარლის მკლავზე შეკრთა ასული,
და ძირს დაეშვა ლონე მიხდილი,
ლონე მიხდილი და ფერწასული!..

ამის გამგონე იმ წუთის შემდეგ
ჯურღმულში ვსცხოვრობ, იქა მაქვს ბინა,
ფერად შავი ვარ, აღარ ვბრჭყიალებ,
მაგრამ გულში კი ვარ, როგორც რკინა.

ამაო არის ოქროს ფეხები!..
ბროლის გულმკერდი, გინდ ვერცხლის სახე
ქვევით ჩამოდი, ძმავ, მეგობარო,
და შავ ჯურღმულში მეც დამინახე.

მერწმუნე კოცნაც, წარმავალია
გატაცებაა გიჟური ჟინი,
ჩამო, დაგადგა ნიჭიერ თავზე
შავი ხელებით დაფნის გვირგვინი.

**ს. კოლხიდელი.**

## ჩვენი სასოფლო სკოლების ინსპექტორები.

გაზეთ „რუსკოე სლოვო"-ს მე-44 ნუმერში დაბეჭდილია შემდეგი დადგენილება სამოსწავლო ოლქების მზრუნველთა იმ კრებისა, რომელიც ამჟამათ სწარმოებს პეტროგრადში.

„საოლქო მზრუნველთა კრებამ გამოსთქვა ის აზრი, რომ სასოფლო სკოლების ინსპექტორების დანიშვნის საკითხში არა რუსთა პროვინციებში, უპირატესობა უნდა მიენიჭოს იმ კანდიდატებს, რომელთაც ადგილობრივი ენა საკმაოთ იციანო".

ეს ანბანური და უბრალო ჭეშმარიტება, რომელსაც აღვიარებს სადი პედაგოგიკა და თვით პრაქტიკული ცხოვრებაც, ვერ შეიგნეს ჩვენმა მაღალხარისხის უფროსებმა.

თფილისისა და ქუთაისის გუბერნიებსა და ბათუმის ოლქში მცხოვრებნი თითქმის ყველა ქართველია.

ამ ოლქების შვიდასზე მეტ სკოლაში სწავლა განათლებას აწარმოებს ცხრა ინსპექტორი.

ამათ რიცხვში მხოლოდ ერთმა იცის ქართული ლაპარაკი (პოგორელოვი, თფილისში). დანარჩენმა რვამ „ინჩიც არ იცის" ქართულათ.

სკოლებში კი კანონის ძალით სწავლა და აღზრდა დაფუძნებულია ქართულ ენაზე. ანუ მიმდინარეობს მის შემწეობით.

ამ ნაკლულოვანებას გასწორება უნდა.

და რაც ჩქარა მოხდება ეს გასწორება მით უკეთესია.

ამ სამი-ოთხი წლის წინათ ჩვენ მხარეს ყავდა თითო-ოროლა ქართული ენის მცოდნე ინსპექტორი (ზედგინიძე, მაჭავარიანი, სუდაკოვი), მაგრამ ამათ ძალა-უნებურათ სამსახურს თავი დაანებეს.

როდესაც წარმოვიდგენ, თუ როგორ უნდა მოახდინოს „რევიზია" ქართველთა სასოფლო სკოლაში ქართული ენის არამცოდნე ინსპექტორმა, ან როგორ უნდა მოელაპარაკოს ამისთანა მოხელე სოფლის ყრილობას, ანუ სკოლის მზრუნველობას,—უნებურათ მაგონდება საქმის მცოდნე და დამსახურებული, ქუთაისის ინსპექტორად ნამყოფი ბ-ნი ნოვოსპასსკი.

ეს პატიოსანი პედაგოგი ვერ შეურიგდა თავის უმწეო მდგომარეობას და სამსახური მიატოვა.

თავის საბოლოვო „ოტსტავკის" მოხსენებაში ნოვოსპასსკი სწერს: „ქართული ენის უვიცობის გამო დავრწმუნდი, რომ ჩემ თანამდებობას ბეჯითად ვერ შევასრულებო.

ყველა ასეთი გულწრფელი და სამართლიანი ადამიანი რომ იყოს, იქნება ზემოდ აღნიშნულ უკეთურობას თავის-თავად ბოლოც მოეღებოდა...

**ე. ფ—შვილი.**

## სამძიმრის დეპეშები.

**ყვირილა.** „სამშობლოს" რედაქციას, ღრმათ დაგვამწუხრა დეპუტატ გელოვანის გადაცვალებამ.

მასწავლებლები: აბულაძე, კიკნაძე და ლომინაშვილი.

— —

პლატონ გელოვანმა ქუთაისიდან შემდეგი სამძიმრის დეპეშა მიიღო:

თ-დ ვარლამ გელოვანის უდროოთ გადაცვალებამ ღრმათ დამამწუხრა, რომელიც იყო სამშობლოს ინტერესებისათვის თანამებრძოლი და გმირულათ დაიღუპა დავრდომილთადმი მოქალაქობრივის მოვალეობის აღსრულების დროს.

ალექსანდრე საყვარელიძე.

— —

**ყვირილიდან:** გულის სიღრმემდი შეწუხებული ვარ სიყრმიდანვე ჩემთან შეზრდილ კუჭიკოს უდროოთ გადაცვალებით, რომელმაც სამშობლოს წინაშე წმინდათ შეასრულა თავისი მოქალაქობრივი მოვალეობანი.

ბესარიონ საყვარელიძე.

— —

ქუთ. ქალაქის თავმა ი. მ. ჩიქოვანმა ელისავეტოპოლის ქალაქის თავის სახმელდოვისაგან, დეპუტატ ვარლამ გელოვანის გადაცვალების გამო, შემდეგი შინაარსის დეპეშა მიიღო:

„გთხოვთ გადასცეთ განსვენებულის ოჯახსა და ძმას ქალაქ ელისავეტოპოლის თვითმართველობის ღრმა მწუხარება თ-დ გელოვანის უდროოთ დაკარგვის გამო.

— —

**თფილისიდან:** დეპუტატი ეფრემოვი პროგრესისტების პარტიისა და ფრაქციის სახელით გთხოვთ შეამკოთ განსვენებულ გელოვანის კუბო გვირგვინით. ფული გამოგზავნილია.

გთხოვთ შეასრულოთ.

გოთუა.

## ახალი ამბავი.

— —

ქუთაისის გუბერნატორმა კამერ-იუნკერმა პოტულოვმა თფილისიდან შემდეგი დეპეში მიიღო:

„გულითად მადლობას გიძღვნით თქვენ და თქვენამდი რწმუნებულ სამართველოს მოხელეებს ჩემდამი კეთილი სურვილების გამოთქმისათვის".

**გრაფი ვორონცოვ-დაშკოვი.**

ეს დეპეში პასუხია იმ დეპეშისა, რომელიც ბ. გუბერნატორმა გაუგზავნა მეფის მოადგილეს მისი ათი წლის იუბილეს გამო.

✦ ლანჩის საზოგადოებამ (ზუგდიდის მაზრა) გუბერნატორის წინაშე შუამდგომლობა აღძრა, რათა ხსენებულ სოფელს, როგორც მოუსავლობით დაზარალებულს, მთავრობამ დახმარება აღმოუჩინოს.

✦ ბ. სამსონ გიორგის ძე წერეთელმა დამშეულ აჭარლების სასარგებლოთ ჩვენს რედაქციას გადმოსცა ხუთი მანეთი. ფული დანიშნულებისამებრ გაიგზავნება.

✦ შინაგან საქმეთა სამინისტრომ ქუთ. ცეცხლისაგან დამზღვევ საურთიერთო საზოგადოებას ნება დართო გაავრცელოს თავისი მოქმედება შემდეგ დაბა-სოფლებშიც: დ. ჭიათურაში, ქ. გორში, დ. ახალსენაკში, დ. სურამში, დ. ხაშურში, ქ. ზუგდიდში, დ. ზესტაფონში, ქ. ოზურგეთში და სხვაგან.

როგორც ვიცით, დამზღვევმა საზოგადოებამ ეს შუამდგომლობა სამინისტროში გასული წლის გაზაფხულზე აღძრა.

✦ ქუთაისის მაზრაში ახალგაზდათა გაწვევა სამხედრო ბეგარის მოსახდელად ხვალ, 4 თებერვალს დასრულდება.

✦ განსვენებული დეპუტატის ვ. გელოვანის ბიძამ თავად ერმალო გელოვანმა ჩვენს რედაქციას გადმოსცა სხვადასხვა პირებისაგან მიღებული 28 სამგლოვიარო დეპეში ვ. გელოვანის გარდაცვალების გამო. სამწუხაროდ, უადგილობის გამო, გაზეთში ამ დეპეშებს ვერ ვათავსებთ. მოგვყავს მხოლოდ იმ პირების სია ვისგანაც არის მიღებული: მოსკოვი—თავ. პ. თუმანიშვილისა, ალ. სუმბათაშვილისა, ნ. კახიანისა და ა. შენგელიასაგან. ხარკოვი—ჯუნკოვსკისაგან. თბილისი—ა. ხატისოვისა, თავ. ერისთავისა, შარვაშიძისა და გამრეკელისაგან. სოხუმი—მაჭავარიანისა და ჯუღელისაგან. ოზურგეთი—ვ. კანდელაკისა და ნ. გურიელისაგან. საჩხერე—კნ. ელისაბედ წერეთლისა, ს. წერეთლისა და გამყრელიძისაგან. ბათუმი—თავ. დ. ო. ნიჟარაძისაგან. ჭიათურიდან- გ. და ს. წერეთლისაგან. ახალ-სენაკი—ნ. შერვაშიძისაგან და სხვა.

✦ ყვირილის საკრედიტო ამხანაგობის წევრთა წლიური კრება დანიშნულია 7 მარტისათვის.

✦ 5 მარტიდან, ქალაქის თვითმართველობის დარბაზში ჯარში გაწვეულთა ოჯახების წევრებს დაურიგებენ ორი თვის ფულს.

✦ როგორც ს. ჯვარისიდან (ოკრიბა) გვწერენ, იქ ძლიერ გავრცელებულა სახადი. განსაკუთრებით გავრცელებულია ყვავილი. სახადმა ბევრი კიდეც იმსხვერპლა. სოფელში არსებობს ერთად-ერთი სამრევლო სკოლა, რომელიც სახადის გამო დროებით დახურეს.

სახადი ჯვარისის მახლობელ სოფლებშიც მოდებულია. საჭიროა დახმარება.

✦ რადგანაც დღევანდელ საუბარის („ქალი გრძნეული") მონაწილეთა რიცხვი საკმაოდ დიდია და ამის გარდა თვით პოემის წაკითხვას მოუნდება დაახლოებით ერთი საათი, საზოგადოების ინტერესი მოითხოვს დროით მოვიდენ თეატრში. საღამო დაიწყება სრულ რვა საათზე, ყველა გამოცხადებული მონაწილე უეჭველად დაესწრება საუბარს.

✦ დღეს, ქალაქის თეატრში, გაიმართება სალიტერატურო კამათი. გარჩეულ იქნება, ალ. შანშიაშვილის ახალი პოემა „ქალი გრძნეული". კამათი გაიმართება კ. აბაშიძის თავჯდომარეობით. მონაწილეობას მიიღებენ: ი. ჩიქოვანი, კ. ანდრონიკაშვილი, დ. უზნაძე, ა. ჯანელიძე, ტ. მარგველაშვილი, ია ეკალაძე, ა. ფაღავა, გრ. ლაღიძე შ. დადიანი და სხ.

✦ ქუთაისის მევენახეობის უფროსი ინსტრუქტორი იაკობ სამსონის ძე ორჯონიკიძე გადაიყვანეს შორაპნის მაზრაში. ამ დღეებში ბ. ორჯონიკიძე დ. ხარაგოულში გაემგზავრება, საიდანაც შეუდგება მეღვინეობის კურსების მოწყობას და ლექციების კითხვას. კურსებზე მსმენელებს დაურიგებს მევენახეობისათვის საჭირო იარაღებს.

✦ ქუთაისის საურთიერთო ნდობის საზოგადოების წევრთა წლიური კრება დანიშნულია 29 მარტს. კრებაზე გასარჩევათ დანიშნულია შემდეგი საქმეები:

1) განხილვა და დამტკიცება 1914 წ. ანგარიშებისა; 2) დამტკიცება მდგომარე წლის ხარჯთაღრიცხვისა; 3) განხილვა პროექტისა ახალი დუქნების ასაგებათ; 4) არჩევა საბჭოს სამი წევრისა, სარევიზო კომისიის სამი წევრისა და მათი კანდიდატებისა.

✦ 1 მარტს, ღამით, ვორონცოვის ქუჩაზე ლეიბციგის ქუდის მაღაზიაში შევიდა მ. სხირტაძე, რომელიც მაღაზიის დაკეტის დროს მიიმალა. ღამით სხირტაძემ რკინის კეტით მაღაზიის კედელი გამოანგრია საიდანაც შოთაძისა და ლეიბ მოსტკოვის მაღაზიებში შევიდა. პირველი დუქნიდან წაიღო 9 მ. და 36 კ., ხოლო მეორედან 593 მ. და 2 ათასის ღირებული სხვა და სხვა ნივთი მეორე დღეს პოლიციამ ბოროტგამზრახველი ნივთებიანათ დააპატიმრა.

### თეატრი.

კვირას, წარმოდგენის შემდეგ ქართ. მსახიობთა ამხანაგობამ ბანკეტი გაუმართა დრამატურგს დ. კლდიაშვილს. ბ. კლდიაშვილი ნასიამოვნები და კმაყოფილი დაბრუნდა სახლში.

— შაბათს, 7 მარტს ამხანაგობის მიერ გამართული იქნება წარმოდგენა დაკლებულს ფასებში მეორეჯერ დ. კლდიაშვი-

სავაჭრო სახლი
„ი. გოკიელოვის ძ—ზის“
ქუთაისში

ამით აცნობებს პატივცემულ მეაბრეშუმეთა და თესლის გამყიდველებს, რომ ცნობილი აბრეშუმის თესლი

**ხ. ხრისტოდულიდისა** მიღებულია.

ვინც თესლს შეგვიკვეთს **ათ მარტამდი** არა ნაკლებ ერთი ფუთისა, რომელშიაც ორასი კოლოფია, მას 6 მისხლიანი კოლოფი [illegible] 3 აბაზათ. შეკვეთის დროს სავალდებულოა ბეთ წარმოდგენა 100 მანეთის. დანარჩენი ფული კი საქონლის წაღებისას. თესლის წაღების უკანასკნელ ვადათ დანიშნული გვაქვს 20 მარტი. ფარცხანაყანევისთვის, ქვიტირისათვის, მაღლაკისათვის, პატრიკეთისათვის, საყულისათვის, შუამთისათვის, სვირისათვის და წყალტუბოსთვის აგენტად დანიშნულია **ლევანტი ექვთიმეს ძე ნუცუბიძე**, რომელიც ცხოვრობს ფარცხანაყანევის იარმუკაში. თ.

ლის ახალი პიესა „უბედურება“ და პ. ირეთელის მიერ გადმოკეთებული პიესა „ქრისტინე“. ორივე პიესებში მონაწილეობს ბ-ნი ვალ. შალიკაშვილი.

— ი. გრიშაშვილის საღამოში ქარ. მსახიობთა ამხანაგობის დასი ითამაშებს ვ. გუნიას მხიარულ კომედიას „ადვოკატთან“.

კვირას, წარმოდგენის დაწყებამდე თეატრში ჩაქრა ელექტრონი, გამოაცხადეს კიდეც, რომ წარმოდგენა გადადებულიაო, მსახიობებმაც გრიმები მოიხსნეს, რომ უცებ განათდა თეატრი, საზოგადოებაც დაბრუნდა და ცოტა დაგვიანებით წარმოდგენა დაიწყეს.

ხშირია თეატრში მოსიარულეთა საჩივარი, რომ თავთავიანთ ადგილებზე არ ზიანო, ამისათვის თეატრის ადმინისტრაცია თხოვნით მიმართავს თეატრში მოსიარულეთ, რომ წეს-რიგისათვის დაიჭირონ ბილეთებში აღნიშნული ადგილი.

**შეცდომის გასწორება.**

ჩვენი გაზეთის 24 ნუმერში პატარა ფელეტონად მოთავსებულ ლექსს „მოგონება“ მოწერილი ჰქონდა „ლადო ბზვანელის რვეულიდან“ და არა „ლადო ბზვანელი“.

## ს ო ფ ლ ა დ.

დგება გაზაფხული!... დღეს თუ ხვალ გლეხობა სახნისს ხელს მოჰკიდებს და თავის მოვალეობის შესრულებას შეუდგება.

რამდენი ოფლი უნდა დაღვაროს საწყალმა დღიური სარჩოსათვის? რამდენი გასაჭირი უნდა გამოიაროს, რომ ცოლშვილი მშიერი არ დაურჩეს და ქალაქს გამოკვებოს?!.

გლეხი შრომობს თავისთვის, ოჯახისათვის და მთელი საზოგადოებისათვის—ხოლო იმისათვის კი თავს არავინ იწუხებს...

შრომას თქვენი ჭირი წაუღია. ბუნებას გლეხი ხომ შრომისათვის შეუქმნია!..

მაგრამ სავალალო და სამწუხარო ის არის, რომ მას ამ ჟამად შრომის სახსარიც ესპობა.

ჩვენი გლეხობის უმეტესობამ ამ სიცოცხლით სავსე გაზაფხულზე გულზე ხელი უნდა დაიკრიბოს, მწარე მომავალს უიმედოთ უნდა უცქიროს...

მთელი გუბერნიის მცხოვრებთა უმეტესს ნაწილს, კვლავ შიმშილობა მოელის. .

იმ ადგილებში, სადაც კარგი მოსავალი იყო, გლეხები თესვას უკვე შეუდგენ, მაგრამ გურია-სამეგრელოისა, ქვემო იმერეთისა და სხვა გლეხები დიდ გაჭირვებას განიცდიან. მათ სათესლე კი არა, პაწია ბავშების საკვებიც არ მოეპოებათ.

თუ ახლავეს შესაფერი ზომები არ მივიღეთ ხალხი დიდ უბედურებაში ჩავარდება.

უწინ, როცა ამა თუ იმ მხარეს მოუსავლობა ეწვეოდა ხოლმე დახმარებას ხაზინა აძლევდა. ახლა კი, ამ გაზვიადებული ომის გამო მთავრობა იმდენ ყურადღებას ველარ მოგვაქცევს და ამიტომ, საქმე ჩვენ თვითონ უნდა მოვაგვაროთ.

ჩვენი ერის თვითეულმა წევრმა თავი მოვალეთ უნდა სცნოს, და თავის წვლილი გამოიღოს დამშეულთა დასახმარებლათ. გლეხობას საშუალება უნდა მივსცეთ დასთესოს ყანები, რომ ამით მომავალში თავის ოჯახიც გამოკვებოს და ჩვენც მშიერები არ დაგვტოვოს.

**ნიკ.—რი.**

## „ქალი ბრძნეული“.

დრამატიული პოემა ალ. შანშიაშვილისა.

სასახლის გარშემო შეყრილა ერი. ხალხი ბობოქრობს, ღელავს და შფოთავს, ხულს მწუხარება შემოსწოლია. დღეს მისი ბატონიშვილნი შორს გზას მიეშურებიან. მიზეზი მათის განშორების, კი არის ჰანგო, უნცროსი მეფის შვილი, რომელმაც იხილა უხილავი რამ თვისი ფანტაზიის წყალობით— მომჯადოებელი არსება ღვთაება სილამაზისა, დედოფალი ქალთა. სწორეთ ამით იგი გაეხვია სიყვარულის ალში, „სიყვარულმა შეასხა ფრთანი, გადმოიარა ზღვა, ხმელეთი, მაღალი მთანი“. ვინ არის იგი და სადაური?—„მისი სამშობლო ტურფა მხარე, მზიანეთია“. და ეს მზის შვილი დაუსრულებელ ოცნებით გატაცებული გამოიჭრა უცხო კოშკისკენ სადაც მეფობს ძნელო ქალი, რომლიც გულითად ლალად აღავლენს წინაშე ვნების ღვთაებისა, რადგანაც ეს ღმერთი მისი მფარველია და არა ერთი მსხვერპლი შეუწირავს მას. მაგრამ სწორედ აქ არის გრძნება, როდესაც ყველა, განურჩევლად წოდებისა და მდგომარეობისა, აქ მოილტვიან და ნეტარებად მიაჩნიათ მის ხვევნაში სულის დალევა. ჰანგოც, მიუხედავად გაფრთხილებისა იწვის ამ ალში და საშინელ ტანჯვაში მყოფს, მისი საკუთარი ძმა,—ერის მხსნელი და ერის ნუგეში გმირი—ბოლოს მოუღებს, დარეტიანებული და მოჯადოებული ძნელოს მიერ, მაგრამ თვითონაც იმ ფიალაში პოებს საწამლავს, რომელსაც მისი უნცროსი ძმა დაეწაფა.

ამ საშინელების მოწმე გახდება მესამე ძმა—ბრძენო. მოსვლისათანავე იგი წააწყდება განწირულ გმიროს და ჰანგოს მოკვეთილ თავს. წარმოიდგინეთ ტრაგიზმი, როდესაც ასეთ სურათს დაინახავს ადამიანი და ისიც ლვიძლი ძმა. ძნელო-ქალი ცდილობს მოხიბლოს იგიც. და მთელს თავის ძალას, გრძნებას უხმობს, რომ ბრძენოც შეიქნეს მსხვერპლი მისი უფსკრული ვნებისა, მაგრამ ამაოდ. არის მომენტი, როდესაც შედრკება ბრძენო, მაგრამ იმავ წუთს გაიელვებს, აზრი, გონება და იხსნის საშინელებისაგან. წყევა-კრულვით სტოვებს იგი გრძნეული ქალის დარბაზს და მწარე მოთქმით თან წაიღებს ძმების ცხედარსა და მოკვეთილ თავს. ძნელო კი, გამწარებული, პირველად უარყოფილი მამაკაცის მიერ პირს იხოკს, სასოწარკვეთილებას ეძლევა, მაგრამიმედს მაინც არ კარგავს და თავს იმით ინუგეშებს, რომ „იგი წავიდა მაგრამ—დღესაც, ხვალეც, შემდეგშიაც, საუკუნოდ, სამუდამოდ კვლავ წამოვლენ, კვლავ იმსხვერპლებს, მისთვის ტანჯვა უჩნდეთ ამოდ!“

ეს არის მშრალი ფაბულა შანშიაშვილის პოემისა, რომლის ღირსება—ნაკლულევანებას საუბრის მონაწილენი დღეს საღამოთი მოგახსენებენ.

**ა. ფ.**

## ხმა სამეგრელოდან.

**ს. მარტვილი.** მსოფლიო ომის გამოცხადებისთანავე ჩვენმა ვაჭრუკანებმა ერთი ორად გააძვირეს პირველი საჭიროების საგნები, რაც მძიმე ტვირთად დააწვა განსაკუთრებით სოფლის გლეხკაცობას... შაქარი ხშირად ექვს შაურად იყიდება გირვანქა, წუმწუმი სამ კაპეიკად, პური მეორე ხარისხის ექვს კაპეიკად და სხ. ჩვენში არავითარი ნიხრი არ არსებობს და გაუმაძღარი ვაჭრუკანებიც სარგებლობენ ამით, ისედაც გაძვალტყავებულ გლეხკაცობას უკანასკნელ გროშსაც ართმევენ.

შიმშილიც კარზეა მომდგარი და ასეთ დროს ჩვენმა ინტელიგენციამ უნდა ითაოს და გაუხსნას ხალხს კოოპერატიული ფურნე, კოოპერატიული დუქანი, რომ იხსნას ხალხი ვაჭრუკანებისაგან. ახლა საუკეთესო დროა კოოპერატიულ დუქნის გახსნაზე ზრუნვისა, ვინაიდგან საზოგადოება ნათლად ხედავს, თუ სადამდე აღწევს ვაჭრების თავგასულობა. განსაკუთრებით ეს საქმე თავზე უნდა იდვან წვრილი კრედიტის გამგეობის წევრებმა; მათ უნდა აუხსნან ხალხს, რომ ამ საკრედიტო ამხანაგობიდან გატანილი ფული მოახმარონ, კოოპერატიულ ფურნის და დუქნის გახსნას, რითაც დიად სამსახურს გაუწევენ გალატაკებულ გლეხკაცობას.

ბბ-ნო მასწავლებელნო! მიეშველეთ ხალხს, უწინამძღვრეთ მათ კეთილ საქმეში და თქვენი შრომაც, მერწმუნეთ, უქმად არ ჩაივლის. მადლიერი ხალხი დააფასებს თქვენს ღვაწლს!

მარტვილში სხვა მრავალ სასწავლებელთა შორის არსებობს უმაღლესი დასაწყისი სასწავლებელიც, სადაც, გარდა ქართული ენისა, ყველაფერს ასწავლიან. საჭიროა ბ. ინსპექტორმა ანგარიში გაუწიოს ხალხის სურვილს და მომავალ სასწავლო წლიდან მაინც შემოიღოს ქართული ენის სწავლება.

მარტვილის საკრედიტო ამხანაგობიდან გატანილი ფული ხშირად და ძალიან ხშირადაც ამხანაგობის წევრებს ბანქოსა და ნარდში წაუგიათ.

დროა ხალხმა შეიგნოს, რომ ზემოხსენებულ ამხანაგობიდან გატანილი ფული უნდა მოხმარდეს ან მეურნეობის გაუმჯობესობის საქმეს, ან რომელიმე კულტურულ დაწესებულებას, როგორიცაა კოოპერატიული დუქანი, ფურნე და სხ. გახსნას. საჭიროა ამას ჩაუკვირდენ ჩვენი საზოგადოების მოწინავეები, განსაკუთრებით ინტელიგენცია, რომელთა რიცხვი ორმოცამდე აღწევს. თუ გურიის მიყრუებულ სოფლებშიაც კი იხსნება სხვადასხვა კოოპერატიული დაწესებულებანი, რა დავაშავეთ ჩვენ, რომ ჩვენ ჯერჯერობით კიდევ ამ დარგში არაფერი გაგვიკეთებია?

**ჩი—თო.**

## გ ო რ ი.

**გორის საკონსერვო კურსები**, რომელიც გაიხსნა 25 იანვარს, დამთავრდა 1 მარტს. კურსებს დაესწრო 52 მსმენელი: 40 სახალხო მასწავლებელი და 12-თავისუფალი მსმენელი. კურსების პროგრამა ფრიად საყურადღებო იყო: დამზადება სხვადასხვა ხილეულების, მწვანილეულობის, ხორცეულის და თევზეულობის კონსერვებსა. ხელმძღვანელობდენ კურსებს აკადემიკი ზომმერი და სახალხო სკოლების ინსპექტორები რიგ-რიგობით. 1 მარტს მოხდა გამოცდა სახალხო სკოლების დირექტორის კრუპსკის თანდასწრებით, გამოცდამ გამოაჩინა მსმენელების მიერ ცოდნის საკმარისად შეთვისება.

სასიხარულო იყო ქართველ მსმენელების შეგნებული მოქმედება: დიდი აკაკის და ვარლამ გელოვანის დაკარგვას ყველა მიეგება გულწრფელი გლოვით; თავის დროზე გადაიხადა პარაკლისი და მოაგროვა აკაკის ფონდის გასაძლიერებლად მცირედი წვლილი.

**დამსწრე.**

## კოოპერაცია.

ეს ერთი ხანია კოოპერაციების მნიშვნელობა-სარგებლობაზე ლაპარაკი ძალიან გახშირდა. თანდათან ირკვევა, რომ ასეთი საზოგადო ამხანაგობა, ერთი ასათ სასარგებლოა და, სადაც უნდა იყოს იგი, თუ სანდო, გამოცდილი და მომჭირნე გულ-შემატკივარი მოთავენი ეყოლა, ნამდვილ სახალხო და დიდი სასარგებლო საქმეა. მაგრამ, ქართული ანდაზა არის: სხვისი კაკალიც ბზიალობს და ჩვენი ოქროც არაო. სწორეთ ეს ანდაზა ზედ გამოჭრილია ჩვენს თავზე. მაგალითს ქვემოთ მოგახსენებთ. ჩვენ წავიკითხეთ „სამშობლოს“ მე 17 №-ში დიდათ წამახალისებელი ამბავი კოოპერატიული საქმიანობისა: „დანიაში, ამხანაგობა „მზე“ გამოვიდა სამოქმედოთ ორი ტომარა ნაჩუქარი ფქვილით და სულ ხუთი წლის განმავლობაში შეიძინეს: საკუთარი სახალხო სახლი, ბიბლიოთეკა, სამკითხველო დარბაზი, მგალობელთა და დამკვრელთა გუნდები და სხვა მრავალი სიკეთენიო“!

ნუთუ არ აგაღელვებს კაცს და სამოქმედოთ არ გამოგიყვანს ასეთი საარაკო ამბავი?! იქ თუ ორი ტომარა ფქვილით ასეთი საწაულები მოახდინეს, ჩვენ ათასობით და ორი ათას მანეთობით დაწყებული საქმე ფუჭათ უნდა ჩაგვიაროს?!

ჩვენში, ბევრი საამხანაგო დაწესებულება მახსოვს, რომელთაც უთაო მოთავეებმა ჩაილულის წყალი დაალევიეს, მაგრამ რადგან შემთხვევამ მოიტანა, მე აქ მარტო მეპურეთა ამხანაგობაზე მინდა მკითხველის ყურადღება მივაქციო.

ქუთაისში, 1902 წელში დაარსდა მეპურეთა ამხანაგობა „იმედი“. მრავალი „პაი“ გაიყიდა; ერთი „პაი“ მეც ვიყიდე; მოცემულ კვიტანციას № 606 უზის. თითო „პაი“ 5 მანეთადღირდა; მეექვსე მანეთი კიდევ რაღაცასთვის მიქონდით და არ ვიცი კი რისთვის. ჩემი კვიტანციის ნუმრის ანგარიშით ამხანაგობას ჰქონია მაშინ 3030 მანეთი თანხა; როგორც მაშინ ამბობდენ, რვაას თუმნამდი იყო შეგროვებული ფული. მაშინ ჩემი კვიტანციის რიცხვი სულ უკანასკნელი ხომ არ იქნებოდა. ამდენი ფული სად წავიდა არც ერთმა ამხანაგმა არ ვიცით. ნუთუ პური არ გაიყიდებოდა? ნუთუ მეფურნეები პურში არაფერს იგებენ?

რომ ეს დაწყებული საქმე მოთავეებს კარგათ ეწარმოებიათ, ამდენი ხნის განმავლობაში საგრძნობელი მოგება დარჩებოდა ამხანაგობას: მაგრამ მოგებამ თქვენი ჭირი წაიღოს, ამხანაგობას თანხაც დაეკარგა.

როგორც მოგახსენეთ, და კიდე გავიმეორებ, რომ კოოპერაცია დიდი სასარგებლო რამ არის და ხალხისთვის საბედნიერო და კულტურული ასპარეზი.

ამიტომ, იმედია, ახლა მაინც ზემო აღნიშნული ფაქტი არ გამეორდება, რადგან ამ საქმეში დახელოვნებული და მრავალი მისანდობი პირი მოიპოვებიან, რომელთაც დიდი იმედით შევყურებთ.

ზემო აღნიშნულ მეპურეთა ამხანაგობისგან ფულის მიღების ჩემს კვიტანციაზე ბ. ი. პურადოვი აწერს ხელს.

ძლიერ კარგს ინებებს ბ. პურადოვი, რომ აღნიშნავდეს მოხსენებული ამხანაგობის დამხობისა და გაქარწყლების მიზეზებს.

ეს მით უფრო საჭიროა, რომ მომავალი ამხანაგობა თავიდან მოიშორებს დამღუპველ მიზეზებს და საქმეს სათავეშივე კარგ ნიადაგზე დააყენებს, რაც, რასაკვირველია, ნიადაგს მოუმზადებს ასეთ ამხანაგობების დაარსებას ფართო მასისთვის.

ბ. ი. პურადოვი, ქუთაისში ცნობილი პირია, როგორც მისანდობი და პატიოსანი კაცი და, იმედია, სიმართლის გამოაშკარავებით საქმის კეთილად დაგვირგვინებას ხელს შეუწყობს.

**მღვ. რ. ხუნდაძე.**

## მ ო წ ო დ ე ბ ა.

ოთხშაბათს, 4 მარტს, დღის 4 საათიდან ბალახვნის შოთა რუსთველის სახელობის უფასო წიგნთ-საცავ სამკითხველოს სასარგებლოთ ქუთაისის თეატრ „რადიუმ“-ში იმართება სესხები სურათები მეტად საყურადღებოა. მზრუნველი კომიტეტი ამა სამკითხველოისა იმედოვნებს, რომ ქუთაისის მცხოვრებნი გამოიჩენენ თანაბარ თანაგრძნობას ამ ფრიად სიმპატიურ დაწესებულებისადმი და თავისი დასწრებით, ან შემოწირულობით საშუალებას მისცემენ ხსენებულ დაწესებულების მოქმედების გაფართოვებას.

**სამკითხველოს მზრუნველი კომიტეტი.**

## ღია წერილი

ზუგდიდის გლეხების წარმომადგენელს 8 თებერვალს აკაკის დაკრძალვის დღეს ქ. თფილისში დამსწრეს.

**ბ-ნ გარდავას.**

მე თქვენ პირველათ გინახულეთ 7 თებერვალს 1915 წელს თფილისის თავად-აზნ. საკრედიტო დარბაზში, სადაც, როგორც თქვენ, აგრეთვე მეც, როგორც წარმომადგენელს, ბილეთების მიღება გვსურდათ და სადამოს ცხრა საათზე მივიღე თქვენგან ჩემი პიროვნების მეტათ დამამცირებელი სიტყვიერი შეურაცხყოფა, რისთვისაც იძულებული გავხდი გამოგიწვიოთ სამედიატორო სამართალში, ჩემის მხრით ვასახელებ მედიატორეთ ძირულის ორკლასიანი შკოლის მასწავლებელ ალ. ხარატიშვილს და მოწმეებსაც (მაყურებლებს) ჩვენვე წარმოგიდგენთ.

ვაძლევთ გაძლევთ ერთ თვეს დღიდან ამ წერილის დაბეჭდვისა. და გთხოვთ თქვენც დაასახელოთ მედიატორე.

მტყუანმა მხარემ აკაკის ფონდის გასაძლიერებლათ გადაიხადოს ერთი თუმანი. წინააღმდეგ შემთხვევაში ვიტოვებ უფლებას, რომ თქვენი მაშინდელი საქციელი გამოვაცხადო ამავე გაზეთის ფურცლებზე.

**ერმოლოზ დიმიტრის ძე გბანოძე.**

**თ. ა. მთავრიშვილის და ამხ. წიგნის მაღაზიის საკუთარი გამოცემანი.**

1) ნ. ნიკოლაძე. მამულის სიყვარული და მსახურება. . 20 კაპ.
2) დ. კარიჭაშვილი. ხუცური ანბანი, მეორე გამოც. . 20 კაპ.
3) მღ. პ. ცქიტიშვილი. ლოცვანი, პირველდაწყებითი სკოლებისათვის ფ. 10 კ., ყდით . . 15 კაპ.
4) ქართ. მოძრავი ანბ. ქაღ. 10 კაპ. „იგივე, კარდონზე გაკრული 25 კაპ. „იგივე ორ და სამ-კომპლექ. 50 კაპ.
5) ს. ყიფიანი, შაქარას ნაამბ. 3 კაპ.
6) Архим. Несторъ. Учебникъ Закона божія . . 20 კ.
7) ს. გორგაძე საქართვ. ისტორია ნ. I ისტორიული ქარტით., მეორე გამოცემა . , . 35 კაპ.
8 ალ. გარსევანიშვილის თხზულება: „Поэтъ Грузіи Акакій“ 10 კ.

**აქვე იმყოფება საწყობი შემდეგი წიგნებისა.**

1) გუთანი, ოჯახსა და სკოლებში საკით. წიგ. შედ. ი. ოცხელისა. თ. მთავრიშვილისა და ს. ყიფ. მიერ, სურ., მესამე გამ., ყდით 85 კ.
2) ს. ხუნდაძე. ქარ. გრამატიკა პირველდაწყ. შკოლებ. ყდით · 20 კ.
3) ს. რობაქიძე. სამშობლოს აღწერა, საქართ. გეოგრაფიის სახელმძღვანელო, ყდით . 50 კ.
4) არქ. ნესტორი (ყუბანეიშვილი) პირველდაწყებ. დარიგება საღვთო სჯულის სწავლებაზე . 30 კ.
5) ა. ხახანაშვილი. ბატონ-ყმობა საქართველოში . 50 კ.
6) კ. აბაშიძე. ეტიუდები მე XIX ს. ქ. ლიტერატურა შესახებ ტ. I. 70 კ.
7) მისივე. იგივე ტ. II.. 70 კ.
8) ი. შექსპირი. ოტელო, ჰამლეტი და მეფე ციმბელინი ყრმათათვის ნათარგმნი ს. ყიფიანისა . 20 კ.
9) მღ. ა. გერსამია. ლოცვანი, ფ. 10 კ., . . 15 კ.
10) ა. ჰიჰინაძე. პირველდაწყ. ცოდნა გეოგრაფიისა ფ. 50 კ., ყ. 60 კ.
11) ნ. ნიკ ჩემ პოლიტიკაზე 10 კ.

**რუსული და ქართული კატალოგები მსურველთ უფასოთ ეგზავნებათ.**

**სავაჭრო სახლი სამანუფაქტურო და გალანტერეის საქონლის**
**ფ. დ. ერქომაიშვილი და ა—ბის**
ომიანობის გამო ქალაქ სუხუმიდან გადმოვიდა **ქუთაისში**. სავაჭრო გაიხსნა თფილისის ქუჩა და საკათედრო მოედანის კუთხეში, რიჟინაშვილის ახალ შენობაში, ქალაქის ათთიაქის პირდაპირ.
**გვაქვს მიღებული მრავალი ახალი მოდის სასეზონო საქონელი.**
საქონელი იყიდება ხელმისაწდომ ფასებში.
პატივის ცემით: **ფ. ერქომაიშვილი და ა—ბა.** 12—9

ნებადართულია სამხედრო ცენზურისაგან
სწრაფმბეჭდავი სტამბა ა. ი. ძოწენიძისა—ქუთაისში.
რედაქტორ-გამომცემელი **მ. თ. ცინცაძე.**